საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №25/20-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 27 თებერვლის №25 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისის №25/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე იყო მიკერძოებული. მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებს დადგენილ ვადებში იხილავდა, ხოლო მხარის განცხადებებსა თუ შუამდგომლობების განხილვას თვეებს ანდომებდა. მოსამართლემ 2020 წლის 28 თებერვლის შემდეგ წარდგენილ შუამდგომლობაზე არ იმსჯელა 1 თვე და 6 დღე. ამასთან, მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა. ნაცვლად 5 დღისა საქმე სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნა 25 დღის შემდეგ.

1.2. არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა შებრუნებული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 7 ოქტომბერს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა -- -- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს -- -- ბრძანებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს -- -- ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე სსიპ გარემოს დავის ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე ჩატარებული აუქციონისა და მისი სამართლებრივი შედეგების ბათილად ცნობა. ამავე სარჩელში მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ -- -- მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყის სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის შედეგებისა და აღნიშნული

შედეგებიდან გამომდინარე ხელშეკრულების გაფორმების, ქმედების განხორციელებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შეჩერება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეჩერდა „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარების“ შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს -- -- ბრძანების მოქმედება.

-- -- სასამართლოს საქმის განაწილების ბარათის დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად, -- -- სარჩელი 2019 წლის 15 ოქტომბერს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, -- ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა -- --.

2019 წლის 16 ოქტომბერს განცხადებით მომართა მოპასუხე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ოქტომბრის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების განმარტება, კერძოდ: მოსარჩელე -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილება გულისხმობს თუ არა აუქციონში გამარჯვებულ კომპანია - -- -- ლიცენზიის გაცემის პროცედურის შეჩერებას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ოქტომბრის №-- განჩინების განმარტების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მესამე პირმა - -- --.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2019 წლის 8 ნოემბრის განჩინებით -- სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად; კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინების შეჩერებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება -- -- შუამდგომლობა, საქმის მასალებთან ერთად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2.3. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 21 თებერვლის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ -- -- მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყის სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის შედეგები (აუქციონის №--) და აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს აეკრძალა ხელშეკრულების გაფორმება,

ქმედების განხორციელებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2020 წლის 25 თებერვალს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა მესამე პირის -- -- დირექტორმა -- -- და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 თებერვლის №-- განჩინების გაუქმება. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 თებერვლის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 თებერვლის №-- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში.

2020 წლის 28 თებერვალს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა მესამე პირის -- -- წარმომადგენელმა -- -- და მოითხოვა №-- საქმეზე შებრუნებული უზრუნველყოფის გამოყენება. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 2 მარტის განჩინებით -- -- განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 2 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 თებერვლის №-- განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2020 წლის 27 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2020 წლის 27 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველი.

2020 წლის 28 აპრილს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა მესამე პირის - -- -- და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა, კერძოდ: ნაცვლად გარემოს ეროვნული სააგენტოს -- -- ბრძანების მოქმედების შეჩერებისა და მოპასუხისთვის №-- აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადება, ქმედების განხორციელება ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის აკრძალვისა გამოყენებულ იქნეს სხვა უზრუნველყოფის ღონისძიება. კერძოდ, მოითხოვა -- -- სალიცენზიოს მოწმობის მიღების შემდგომ, ქმედების განხორციელების აკრძალვა სალიცენზიო არეალის იმ ფართობზე, სადაც მდებარეობს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთები, კერძოდ, მოსარჩელის უძრავი ნივთები, რომელზედაც მიმდინარეობდა ან/და მიმდინარეობს №--, №--, №--, №-- №--, №--, №--, №-- სარეგისტრაციო წარმოებები. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ 8 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში ჯამში მოთხოვნილია 13,846 კვ.მ. მიწის ფართზე უფლების რეგისტრაცია, აქედან დადებითი შედეგით დასრულებულია 5 სარეგისტრაციო წარმოება და დარეგისტრირებულია 10,341 კვ.მ. ფართობი, ხოლო დარჩენილი 3 სარეგისტრაციო წარმოება, რომლითაც მოთხოვნილია საერთო ფართობით 3,505 კვ.მ. მიწის ფართობზე უფლების რეგისტრაცია არ დასრულდა დადებითი შედეგით, არა სალიცენზიო არეალთან ზედდების გამო არამედ სხვა მიზეზებით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 5 მაისის განჩინებით მესამე პირის -- -- უამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 15

მაისის განჩინებით -- -- საჩივარი, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 22 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2.4. -- -- სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად:

- 2019 წელს განსახილველად ჰქონდა 774 ადმინისტრაციული სამართლის საქმე, აღნიშნული საქმეებიდან დაასრულა 577 ადმინისტრაციული სამართლის საქმე (74.5%). ამასთან, განსახილველად გადაეცა 130 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე საიდანაც დაასრულა 128 (98.4%). ასევე, განიხილა 7 სხვა სახის შუამდგომლობა.
- 2020 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით განსახილველად ჰქონდა 371 ადმინისტრაციული სამართლის საქმე, აღნიშნული საქმეებიდან დაასრულა 147 ადმინისტრაციული სამართლის საქმე (39.6%). ამასთან, განსახილველად გადაეცა 46 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე საიდანაც დაასრულა 45 (98%). ასევე, განიხილა 3 სხვა სახის შუამდგომლობა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისი დასკვნა:

-- -- 2020 წლის 27 თებერვლის №25 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, 2020 წლის 19 ივნისის, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შებრუნებული უზრუნველყოფის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე დასკვნის 1.2 ქვეპუნქტი) დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებთან მიმართებით გაგრძელდა დისციპლინური სამართალწარმოება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეეხება მხოლოდ საჩივრის ავტორის მიერ 1.1 ქვეპუნქტში მითითებულ ქმედებებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის

ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiecre and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა,

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საპროცესო ვადებზე საუბრისას საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[2] სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[4]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[5]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[6]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/879, 2019 წლის 14 ნოემბერი, II 2 (5)
[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7
[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19
[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014
[6] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

დადგენილია, რომ მხარემ შებრუნებული უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2020 წლის 28 თებერვალს, ხოლო სასამართლოს 2 მარტის განჩინებით -- -- განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, არ დაკმაყოფილდა. ამდენად, საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე აჭიანურებს მისი შუამდგომლობების განხილვას და 2020 წლის 28 თებერვალს წარდგენილი შუამდგომლობა განიხილა 1 თვისა და 6 დღის შემდეგ, არ დასტურდება.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ 1 თვისა და 26 დღის შემდეგ გადააგზავნა საქმე -- სააპელაციო სასამართლოში, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ ერთ შემთხვევაში საქმე სააპელაციო სასამართლოში შევიდა კერძო საჩივრის მიღებიდან 23 დღის შემდეგ, მეორე შემთხვევაში საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღებიდან 3 დღის, ხოლო მესამე შემთხვევაში 5 დღის შემდეგ. ამდენად, მოსამართლის მიერ მიკერძოებით მხარეთა შუამდგომლობების განსხვავებულ ვადებში განხილვის ფაქტი არ დასტურდება.

საპროცესო ვადებზე და საქმის ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევაზე საუბრის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვემდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი. საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 15 ოქტომბერს. დადგენილია, რომ საქმის წარმოებაში მიღებიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნის მომზადებამდე საქმე -- -- სასამართლოს განხილვაში იმყოფებოდა 8 თვეზე მეტი ვადით, თუმცა აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმე -- სააპელაციო სასამართლოში ჯამში 6 თვეზე მეტი ვადით იყო გადაგზავნილი. მხარეებმა არაერთხელ მიმართეს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, შებრუნებული უზრუნველყოფისა თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

შესაბამისად, იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ხასიათდება სირთულით, რომელიც დაკავშირებულია, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულეებთან, ასევე, მხარეთა ქმედებები, მიმართული იყო საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ. ამასთან, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტული ვადა მიჩნეულ იქნეს გონივრულად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №25/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი